2-14417/23
18-09-2023

საქართველოს პარლამენტის

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2023 წლის 18 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების ანრი ოხანაშვილის, დავით მათიკაშვილის, გივი მიქანაძის, თენგიზ შარმანაშვილისა და რატი იონათამიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/351; 06.09.2023).

საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებული ცვლილებები დაკავშირებულია საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტული ამოცანის შესრულებასთან და გულისხმობს ევროკავშირის კომისრის 2023 წლის 22 ივნისის შეფასებაში გამოთქმული წინადადების მხედველობაში მიღებას. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, იცვლება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევის წესი. „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლში და იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი განმეორებითი ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში ვერ აირჩევს ცესკოს წევრს/წევრებს, მათი დანიშვნის მიზნით შესაბამის პირთა სია ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ ცესკოს წევრების არჩევის საკითხს, წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის თანახმად, ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 211^1 მუხლში, რომლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ნაცვლად პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობისა, ცესკოს წევრთა ასარჩევად აუცილებელი იქნება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5. ამასთან, განისაზღვრება პროცედურა იმ შემთხვევისთვის, თუ თავდაპირველი კენჭისყრის შედეგად ვერ მოხდა ცესკოს წევრის/წევრების არჩევა, რა დროსაც შესაძლებელია ჩატარდეს ხელახალი და განმეორებითი ხელახალი კენჭისყრა, რა შემთხვევაშიც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ქადაგიშვილი